ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 482501421
თარიღი:14/01/2025

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 20 ნოემბრის №№48. 482432513 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 4^1 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის" მე-4 მუხლის 1^1 და მე-3^1 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილი იქნას ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 20 ნოემბრის №№48. 482432513 ბრძანებაში და ამ ბრძანების დანართი („ePLAN") დამტკიცდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილებას (ა. გელენიძე), დადგენილი წესით უზრუნველყოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ცვლილების რეგისტრაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის „ePLAN" მოდულში.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვიკავებ პირადად.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, გუჯრაძის ქ. №11).

გენადი ბალანჩიგაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY
221274546

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი